გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1187

უშიშროების საბჭო,
რომელიც კვლავ ადასტურებს თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას, განსაკუთრებით კი 1998 წლის 30 იანვრის 1150 (1998) რეზოლუციას, იხსენებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1998 წლის 28 მაისის განცხადებას (S/PRST/1998/16), და ასევე, საბჭოს თავმჯდომარის 1998 წლის 10 ივლისის წერილს გენერალური მდივნისადმი (S/1998/663), განიხილა რა გენერალური მდივნის 1998 წლის 14 ივლისის მოხსენება (S/1998/647 და add 1), ღრმად შეშფოთებულია მიმდინარე დაძაბული და კონფრონტაციული სიტუაციით ზუგდიდისა და გალის რაიონებში და ბრძოლის განახლების საშიშროებით, ასევე ღრმად შეშფოთებულია ორივე მხარის მოუნდომებლობით ხელი აიღონ ძალადობაზე და სერიოზულად განიხილონ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზები,

მხარს უჭერს გენერალური მდივნის და მისი საგანგებო წარმომადგენლის აქტიურ ძალისხმევას, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობის, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის და ეუთოს დახმარებით, რათა არ დაუშვან საომარი მოქმედებების განახლება და ახალი იმპულსი მისცენ მოლაპარაკებებს გაეროს ეგიდით წარმართული სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, და მიესალმება ამ კონტექსტში, 1998 წლის 23-25 ივლისს ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე მხარეების მიერ საბოლოო განცხადების მიღებას და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მიერ დართულ განცხადებას (S/1998/647/add. 1),

ხელახლა ადასტურებს მხარეების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობას, გამოხატავს თავის მხარდაჭერას გენერალური მდივნის ძალისხმევისადმი, გამონახოს გზები ამ მოთხოვნის შესრულების სრულყოფისათვის, როგორც ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის მუშაობის განუყოფელი ნაწილისა, და აღნიშნავს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის მუშაობის განვითარებას აფხაზეთში, საქართველო,

მიესალმება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ის კოლექტიური სამშ-ვიდობო ძალების როლს, როგორც სტაბილიზაციის ფაქტორს კონფლიქტის ზონაში, აღნიშნავს მათი შესაბამისი მანდატების შესრულებაში მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1998 წლის 14 ივლისის ანგარიშს.

2. კვლავ გამოთქვამს თავის ღრმა შეშფოთებას საომარი მოქმედების განახლების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1998 წლის მაისში, და მოუწოდებს მხარეებს, მკაცრად დაიცვან მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა

დაშორიშორების შესახებ (S/1994/583 annex 1), ასევე, 1998 წლის 25 მაისის ოქმი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და შეასრულონ თავიანთი ვალდებულება, თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან და გადაწყვიტონ სადავო საკითხები მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

3. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაკადის გამო, რაც ამასწინანდელმა საომარმა მოქმედებებმა გამოიწვია, კვლავ ადასტურებს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს უსაფრთხო პირობებში, თანახმად საერთაშორისო სამართლისა და, როგორც ეს აღნიშნულია 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივ ხელშეკრულებაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ (S/1994/397, annex II), მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ამასთან დაკავშირებით, და მოითხოვს განსაკუთრებით, რომ აფხაზურმა მხარემ საშუალება მისცეს 1998 წლის მაისის საომარი მოქმედებების შედეგად გადაადგილებული ყველა პირის უპირობო და დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

4. გმობს აფხაზთა ძალების მიერ სახლების განზრახ განადგურებას, იმ აშკარა მოტივით, რომ განედევნა ხალხი მშობლიური ადგილსამყოფელიდან,

5. იმოწმებს ეუთოს ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილებებს (S/1997/57, annex II), აფხაზეთში, საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით, და კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას.

6. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას გალის რაიონიდან გადაადგილებულ პირთა, ასევე იქ დარჩენილი პირების უკიდურესად მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის გამო, და ასევე იმ ნეგატიური გავლენის გამო, რაც ამასწინანდელმა მოვლენებმა გალის რაიონში საერთაშორისო ჰუმანიტარულ ძალისხმევაზე იქონია.

7. კვლავ აღნიშნავს, რომ მშვიდობის მიღწევისათვის მთავარი პასუხისმგებლობა თვით მხარეებს აკისრიათ და შეახსენებს მათ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის შემდგომი მზადყოფნა დაეხმაროს მათ, დამოკიდებულია ამ მიმართებით მათ მიერ მიღწეულ პროგრესზე.

8. მოუწოდებს მხარეებს, გადაუდებლად გამოავლინონ აუცილებელი პოლიტიკური ნება მოლაპარაკებების საკვანძო საკითხებზე მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრული პატივისცემით, გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში და პირდაპირი დიალოგის მეშვეობით, და სრულად ითანამშრომლონ გენერალურ მდივანთან და მის საგანგებო წარმომადგენელთან, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობის, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის და ეუთოს დახმარებით,

9. მიესალმება 1998 წლის 23-25 ივლისს ჟენევაში გამართულ მხარეთა შეხვედრას და მოუ-წოდებს მათ განაგრძონ და გააძლიერონ აქტიური მონაწილეობა გენერალური

მდივნის ინიციატივით დაწყებულ ამ პროცესში, რომელიც ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ არის მიმართული,

10. შეახსენებს მხარეებს მათ ვალდებულებებს, მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა და მოახდინონ ძალისხმევის კოორდინაცია, რათა უზრუნველყონ საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხოება და დაცვა და მოუწოდებს მათ, რათა სრულად და გადაუდებლად შეასრულონ ეს ვალდებულებანი ერთობლივი ისეთი მექანიზმის ჩათვლით, რომელიც აწარმოებს გამოძიებას და თავიდან აიცილებს მოქმედებას, რომელიც წარმოადგენს მოსკოვის შეთანხმების დარღვევას, და ტერორისტულ აქტებს კონფლიქტის ზონაში.

11. გმობს ძალადობის აქტებს გაეროს დამკვირვებლების მისიის წინააღმდეგ, დანაღმვის განახლებას გალის რაიონში და, აგრეთვე, გალის რაიონში მდინარე ენგურის ქართული მხრიდან მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმებს დსთ სამშვიდობო ძალებზე და მოითხოვს, რათა მხარეებმა, განსაკუთრებით საქართველოს ხელისუფლებმა, მიიღონ გადამწყვეტი ზომები ისეთი აქტების შეჩერებისათვის, რომლებიც სამშვიდობო პროცესის ჩაშლისაკენ არის მიმართული;

12. კვლავ გამოხატავს თავის შეშფოთებას გაეროს დამკვირვებელთა მისიის უსაფრთხოების გამო, მიესალმება უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ზომებს, რომლებმაც მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს დამკვირვებელთა მისიის მიმართ საფრთხე და შექმნას პირობები მისი მანდატით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად, ხაზს უსვამს ამ სფეროში შემდგომი ძალისხმევის გაგრძელების აუცილებლობას, ასევე მიესალმება გენერალური მდივნის ინსტრუქციას, რომ გაეროს დამკვირვებელთა მისიის უსაფრთხოება მუდმივად იყოს განხილული და მოუწოდებს ორივე მხარეს ხელი შეუწყონ ამ განხილვის შედეგად შემუშავებული პრაქტიკული ზომების განხორციელებას,

13. გამოხატავს თავის შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კამპანიის და გაეროს დამკვირვებელთა მისიის შეურაცხყოფის აქტების გამო, და მოუწოდებს აფხაზურ მხარეს შეწყვიტოს ეს აქტები.

14. ადგენს გააგრძელოს გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატი ახალი პერიოდით, რომელიც 1999 წლის 31 იანვარს მთავრდება და ეს მანდატი ექვემდებარება საბჭოს მიერ გადახედვას, იმ შემთხვევაში, თუკი ცვლილებები იქნება შეტანილი დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში ან მათი ყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში.

15. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება. რეზოლუციის მიღების თარიღიდან სამი თვის შემდეგ მოახსენოს საბჭოს აფხაზეთში, საქართველოს სიტუაციის შესახებ გაეროს დამკვირვებელთა მისიის ოპერაციის დახასიათების ჩათვლით, და გამოხატავს თავის განზრახვას, განიხილოს მისიის საქმიანობა გენერალური მდივნის მოხსენების ფონზე, განსაკუთრებით მხარეთა მიერ

მისიისათვის უსაფრთხო პირობების შექმნისა რათა მან შეძლოს არსებული მანდატის შესრულება და პოლიტიკური მოწესრიგების სფეროში მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით.

16. ადგენს აქტიურად ადევნოს თვალყური აღნიშნულ საკითხს.

30 ივლისი, 1998